საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №154/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 30 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 23 ივლისს მომზადებული №154/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით, განაჩენთა ერთობლიობით, სასამართლომ არასწორად განუსაზღვრა მას საბოლოო სასჯელი. ასევე, სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა საქმეზე ორჯერ მსჯავრდების (Double Jeopardy) აკრძალვის პრინციპის დარღვევას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- რაიონული სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით, -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378^2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნულ

სასჯელს, განაჩენთა ერთობლიობის წესის საფუძველზე, დაემატა -- საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 08 თებერვლის განაჩენითა და -- საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რის საფუძველზე საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 33 წლის, 2 თვისა და 11 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^2 მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის გარემოებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა -- რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენის დადგენისას, რის გამოც, დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №154/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი